ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302516136**
თარიღი: **10/06/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 8 მაისის NGOV 6 25 00011579 წერილის საფუძველზე, მომზადდა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილების ცვლილების პროექტი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 132-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ ვადებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების მიზნით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ეკა გუჯაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **31-31251331**
თარიღი: **13/05/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

გიგზავნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის,ბატონ ლევან ჟორჟოლიანის რეკომენდაციას რეაგირებისათვის.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

GOV 6 25 00011579

08/05/2025

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №340 დადგენილების თანახმად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე სამართლებრივი ზედამხედველობის განხორციელებაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელშეწყობას.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის №13 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

განსახილველი დადგენილების სათაური და დადგენილების პირველი მუხლის დებულებები არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ^{2}“ ქვეპუნქტსა და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 6^{1} მუხლის მე-7 პუნქტს. კერძოდ, დასახელებული საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრულია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დასახლებაში ავტოსადგურის არარსებობის შემთხვევაში იმ დასახლებების ჩამონათვალის დადგენა, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა. განსახილველი დადგენილების სათაურსა და პირველი მუხლის ტექსტში კი მითითებულია, რომ ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა. მოცემული ჩანაწერი სცილდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას, ვინაიდან „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 11^{2} პუნქტის თანახმად, „ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანა“ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას (კერძოდ, ერთი მუნიციპალიტეტიდან

მეორე მუნიციპალიტეტის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანას), და მასში არ მოიაზრება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ განსასაზღვრ საკითხს. ქვეყნის შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებული რეგულაციები კი (ნებართვის გაცემა, ავტოსადგურიდან რეისის გასვლა და ა.შ.) უნდა მოწესრიგდეს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსთან შეთანხმებით, როგორც ამას მოითხოვს „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონი და „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის” დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N4 დადგენილება. ამდენად, მუნიციპალიტეტის საკრებულო არ უნდა გაცდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 132-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი
ლევან ჟორჟოლიანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის ივნისი

ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

ცნობა

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2025 წლის --- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2025 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 30/04/2025 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.112.016567) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა."

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,**მუხლი 1**. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული დასახლება, კერძოდ ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული, სადაც არ არის ავტოსადგური და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა."

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**